შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/02

თბილისი **“ 10 “ იანვარი 2018 წ.**

გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილების, ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთუნ–ის წესდების მე–5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების მე-5 და მე-9 გთუნი-ის მობილობის დებულების 1 მუხლის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის და სამართლის ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

<u>ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი,მარკეტინგი,ფინანსები) - 3 ადგილი;
- ტურიზმი - 3 ადგილი.
- ფსიქოლოგია - 3 ადგილი;
- ჟურნალისტიკა - 3 ადგილი.

<u>სამართლის ფაკულტეტი</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 5 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 5 ადგილი;
- კერძო სამართალი - 5 ადგილი.

2. განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 22 იანვრიდან - 09 თებერვლის ჩათვლით;
- ✓ შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 12- 14 თებერვალი;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - 16 თებერვალი

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
- ✓ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;

4. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

- დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს;

- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

რექტორი გიორგი მათიაშვილი